ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11399/01
20/11/2019

11399-01-2-201911201333

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 13 ნოემბრის N16288 წერილი, რომელიც ეხება ლენტეხისა და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის (ლოტი I, ლენტეხის სამხრეთ პორტალი და ლოტი II, ჩრდილოეთ პორტალი ლეშგუანი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

- გაცნობებთ, რომ სამინისტროში წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის და შესაბამისი დანართების სატიტულო გვერდებზე მითითებული საქმიანობის დასახელება არ შეესაბამება 2019 წლის 13 ნოემბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ განცხადებას (N16288 წერილი) და პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობას;

- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 68) მითითებულია, რომ გვირაბის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადდება დეტალური პროექტირების ეტაპზე, მიუხედავად ამისა გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა თავებში ვხვდებით გარკვეული სახის ინფორმაციას გვირაბის შესახებ, აღნიშნული შეუსაბამობიდან გამომდინარე დასაზუსტებელია I და II ლოტების გზშ-ის ანგარიშში გვირაბის შესახებ ინფორმაციის განხილვის საკითხი.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ 2019 წლის 24 ივლისის N 2-706, 2019 წლის 15 აგვისტოს 2-787 და ამავე წლის 15 აგვისტოს N2-786 ბრძანებების შესაბამისად გაცემული სკოპინგის დასკვნების მიხედვით, მიზანშეწონილად ჩაითვალა ლენტეხი-მესტიის გზის I და II ლოტები და მათ შორის დამაკავშირებელი გვირაბის პროექტები (რომლებიც სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში შემოსული იყო ცალ-ცალკე), გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი ყოფილიყო ერთიანი ანგარიშის სახით, რათა სრულყოფილად მომხდარიყო გარემოზე ზემოქმედების შეფასება. გამომდინარე იქიდან რომ ამ ეტაპზე წარმოდგენილია მხოლოდ I და II ლოტების ერთიანი გზშ-ის ანგარიში, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას სრულყოფილად იმსჯელოს პროექტის განხორციელებით გამოწვეულ გარემოზე ზემოქმედებაზე და გასცეს ერთიანი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ორ ერთმანეთისგან 9.032 კმ-ით დაშორებულ ტერიტორიებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საფუძველზე სამინისტრო წყვეტს ადმინისტრაციულ

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

წარმოებას. სამინისტრო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც დაზუსტდება და სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი ერთიანი (ლოტი I, გვირაბი, ლოტი II) გზშ-ის ანგარიში ან თითოეულ პროექტზე მომზადდება დამოუკიდებელი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და წარმოდგენილ იქნება სამინისტროში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოადგილე - მ.შ.